

# გიორგი ჟორდანია – ქართული ხალხური სამართლის მკვლევარი სამართლის მკვლევარი

დავით ჯალაბაძე

სამართლის დოქტორი, ადვოკატი

## GIORGI ZHORDANIA – RESEARCHER OF GEORGIAN LAW

Davit Jalabadze

*Doctor of Law. Lawyer*

### რეზიუმე

ნაშრომი – გიორგი ჟორდანია – ქართული ხალხური სამართლის მკვლევარი, - მიზნად ისახავს დაინტერესებულ მკვლევართ და ფართო მკითხველს გააცნოს ცნობილი ქართველი ისტორიკოსის – თედო ჟორდანიას შვილის, გიორგი ჟორდანიას (1888-1956) ღვაწლი ქართული სამართლოს ისტორიის, საკუთრივ, — ხალხური (ჩვეულებითი) სამართლის შესწავლის საქმეში.

საუბარია გ. ჟორდანიას მიერ საქართველოს რეგიონებში, საკუთრივ, ქართლის სოფლებში საველე გზით მოპოვებულ მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალაზე და მეცნიერულ მემკვიდრეობაზე, რომელიც ჯერ კიდევ ელის სამართლის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართა სათანადო ყურადღებას.

აღნიშნული მასალა, რომელიც გ. ჟორდანიას ერთის მხრივ, ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოებისა და მეორეს მხრივ, მისივე აქტიური მონაწილეობით, მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა მიერ დაარსებულ ილია ჭავჭავაძის სახელობის „ქართული კულტურის მოყვარულთა წრის“ ეგიდით განუხორციელებია, მნიშვნელოვანნილად სწორედ ქართული ჩვეულებითი (ხალხური) სამართლის საკითხებს ეძღვნება.

ამ ეთნოგრაფიულ-შემკრებლობითი საქმიანობის შედეგად შექმნილი გ. ჟორდანიას გამოკვლევები, საჯარო ლექციები თუ მოხსენებები, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივშია დაუნჯებული, ქართველოლოგიური მეცნიერებისა და შედარებითი სამართლის უმნიშვნელოვანეს პირველწერა მარმად და კვლავაც მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს სამართლის ისტორიის მკვლევართ.

ამ თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა გიორგი ჟორდანიას ხელმძღვანელობით 1912 წელს თბილისში დაარსებული „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ საქმიანობა, რომელმაც არაერთი უნიკალური გამოკვლევა შემატა ქართული სამართლის ისტორიის საგანძურს, მათ შორისაა გ. ორდანიას თემატური გამოკვლევები: „ქორწინება სამგერელოში“, „სისხლის აღება და გასამართლება სვანეთში“, „ხალხი და მისი ადათ-ჩვეულებანი“, პ. კიზირიას – „ზოგიერთი ადათ-ჩვეულებანი ქიზიყ-კახეთში“, (მომხსენებელი ნიკო ნათაძე); „სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში“ მეფე ვახტანგ VI კანონთა კრებულის მიხედვით“ და ა.შ.

ნიშანდობლივია, რომ „საზოგადოების“ საწესდებო მიზნებს არა მხოლოდ ცალკეული დარგის, არამედ, ქართული კულტურის ყოველმხრივი შესწავლა („სახელდობრ: ენა, მწერლობა, საზოგადოებრივობა, სამართალი, ეთნოგრაფია“) და რუსეთის საზოგადოებისათვის მისი გაცნობაც

წარმოადგენდა, რაც გარკვეულწილად, სცილდებოდა ვიწრო სამეცნიერო ფარგლებს და ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი კულტურული წარსულის ერთგვარ პოპულარიზაციასაც უწყობდა ხელს.

ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ისტორიის მსგავს მოამაგეთა დამსახურება იმაშიც მდომარეობს, რომ მათი რუდუნების შედეგად დროთა დინებაში სამუდამო დავიწყებას და გაქორბას გადარჩენილ უნიკალურ ხალხურ-სამართლებრივ ინსტიტუტებს, ფასდაუდებელი სამსახურის განევა შეუძლია არა მხოლოდ საქართველოს ისტორიისათვის, არამედ, მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემების შედარებით-სამართლებრივი კვლევის პირველწყაროთა შორის ქართული სამართლის როლის ღირსეულად წარმოჩენასა და მსოფლიო სამეცნიერო მიმოქცევაში მისი აღვილის დამკვიდრებაშიც.

## RESUME

The work “Giorgi Zhordania - Georgian Folk Law Researcher” intends to introduce to the interested researchers and a wide audience of readers the great services rendered by Giorgi Zhordania (1888-1956) – the son of famous Georgian historian Tedo Zhordania - to the study of Georgian law history, in particular the fork (customary) law.

The work focuses on the rich ethnographic material obtained by G.Zhordania as a result of field visits to the regions of Georgia, in particular, to the villages of Kartli and the scientific heritage, which still awaits proper attention of researchers interested in the history of law.

The materials, developed by G.Zhordania with the active participation by the Imperial Society of Devotees of Natural Science, Anthropology and Ethnography on the one hand and by his personal active participation on the other hand under the auspices of the “Ilia Chavchavadze Circle of Devotees of Georgian Culture” founded by Georgian students of Moscow University are devoted specifically to the Georgian customary (traditional) law issues.

The research developed by G.Zhordania as a result of the ethnographic and collecting expedition, his public lectures or presentations, important part of which is preserved in the state historical archives of Georgia are the most significant primary sources for Georgian science researches and comparative law which shall make its important contribution to the legal studies.

From this point of view it is very interesting the activity of the “Society of Devotees of Georgian Culture” founded in 1912 under the guidance of Giorgi Zhordania. this Society has contributed number of unique researches to the treasure of the history of Georgia, including the thematic studies by G.Zhordania “Marriage in Samegrelo”, “Blood Feud (Vendetta) and Adjudication in Svaneti”, “People and Customs and Traditions”, also “Some Customs and Traditions in Qiziki-Kakheti” by P.Kiziria (speaker: Niko Natadze), “Criminal Legislation in Georgia According to the “Code of Laws” by Vakhtang VI, the King” etc.

It is noteworthy that the statutory objectives of the Society was a comprehensive study of not only individual sectors, but Georgian culture in general (namely: language, literature, civil society, law, ethnography) and its introduction to Russian public; the mentioned - to some extent - went beyond the narrow scientific scope and promoted the popularization of the richest culture of our country.

The merit of our country’s similar contributors respecting culture and history is also satisfactory to their care for unique folk-legal institutions that have survived from the disappearance and oblivion during the passage of the flow of life; these institutions rescued by the above mentioned contribu-

tors render invaluable service not only to the history of Georgia but to the relevant promotion and advocating the role of Georgian law among the primary sources of world countries' legal systems comparative-legal researches and finding the deserved place in the world scientific circulation.

საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარის – თედო უორდანიას უფროს შვილს, გიორგი უორდანიას (1888-1956წ) ფასდაუდებელი ღვანტლი მიუძლვის ქართული სამართლოს ისტორიის, საკუთრივ კი — ხალხური (ჩვეულებითი) სამართლის შესწავლის საქმეში. ამასთან, ის ერთ-ერთი პირველთაგანია მათგან, ვინც ამ დარგის კვლევას პროფესიულ დონეზე მოჰკიდა ხელი, რაც კი კიდევ უფრო მეტ მნიშველობას სძენს ამ მხრივ წარმოებულ მის საქმიანობას.

მისი განსაკუთრებული ენთუზიაზმით აღბეჭდილი, ამ მეტად საშური ეროვნული საქმით დაინტრესება, ხალხური სამართლის თავგამოდებული მეოხის, ილია ჭავჭავაძის მონიდების ერთგვარ გამოძახილად უნდა ჩაითვალოს, რომელიც ამ დარგის შესწავლას, ისევე, როგორც საზოგადოდ, ხალხური სამართლის მნიშვნელობას და ცხოვრებაში გამოყენებას საგანგებო ყურადღებას აქცევდა და ამას თავადაც მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა, როგორც თეორიულ-მეცნიერულ კვლევა-ძეებაში, ასევე, პრაქტიკულ საქმიანობაში. საამისო წინაპირობად კი სწორედ ამ ხასიათის ეროვნულ სამართლებრივ ჩვეულებათა საველე-ეთნოგრაფიული, ზეპირსიტყვაობის შემკრებლობით საქმიანობის ფართოდ გაშლაში და მის აუცილებლობაში ხედავდა.

კერძოდ, გაზეთ „ივერიის“ 1887 წლის №270-ში ილია სწორედ ამ სფეროზე წერდა: „ეს სფერო ცხოვრების მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მონინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულებას სიმართლეზე (1.98) და რომ „ამით შეიძლება ყოველმხრივ შევიცნოთ ხალხის წარსული და აწყო, იმისი ავი და კარგი, იმის წარსული, საჭიროება“<sup>1</sup>.

ამ საქმის სათანადო სპეციალისტების ნაკლებობის გამო კი, ილია იმის შესაძებლობასაც უშვებდა, რომ საქმეს ენთუზიაზმით შესდგომოდნენ, და მისთვის თუნდაც, არაპროფესიონალებსაც მოეკიდათ ხელი, რათა ხალხში დაუნჯებული ეს ეროვნული მარგალიტები, საბოლოოდ არ დაკარგულიყო. სწორედ ამით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი ჩვენი დიდი წინაპრის მონიდება, რომლის თანახმადაც, ეს „საადვილი საქმე“ უფრო ბეჯითობას მოითხოვდა, ვიდრე სპეციალურ ცოდნასა და მომზადებას.

სწორედ ილიას ამ ეროვნული იდეის გაზიარებისა და მხარდაჭერის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ გ. უორდანია აქტიურად ჩაება მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა ინიციატივით დაარსებულ (1907წ.). ილია ჭავჭავაძის სახელობის „ქართული კულტურის მოყვარულთა წრის“ საქმიანობაშიც, რომელიც მნიშვნელოვანწილად სწორედ ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლას ისახავდა მიზნად და რასაც თავის დროზე იდეური სათავე თავად ილია ჭავჭავაძემ დაუდო.

ცხადია, ამ საქმის სერიოზული, სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი სწორედ სამართლის სწავლული სპეციალისტებისაგან მოითხოვდა განსაკუთრებულ ძალისხმევას, რასაც ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ილიას თანამედროვე, ხალხური ზეპირსიტყვიერების ცნობილი შემკრები, პეტრე უმიკაშვილი, რომელიც გაზეთ „ივერიის 1888 წლის №29-ში გამოქვეყნებულ წერილში პირდაპირ მიუთითებდა ამ სფეროს (სალკუტროვ, კი, ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხების) შესწავლაში „ნიჭიერებისა და დაკვირვების“ აუცილებლობაზე. მასში კი, უპირატესად სწორედ საკითხის კვლევით დაინტერესებულთა სათანადო მომზადებას, ანალიზისა და მეცნიერული კვლევის განსაკუთრებულ უნარს გულისხმობდა.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV.1955, გვ. 194.

<sup>2</sup> პეტრე უმიკაშვილი, ქართული ხალხური სიტყვიერება, ოთხ ტომად, ტ. IV 1964; გვ.233; დამოწმებულია მ. კეკელიას მრომიდან, „ილია ჭავჭავაძე და 5ქართული ჩვეულებითი სამართალი“. კარებული – ქართული ჩვეულებითი

გიორგი უორდანიას სახით კი ამ სფეროს სწორედ ამგვარი ნიჭიერებითა და დაკვირვებულობის უნარით აღსავსე მკვლევარი მოევლინა, რასაც ნათელყოფს ამ მხრივ მის მიერ ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებანი და მისი უნიკალური სამეცნიერო შედეგები

როგორც აღინიშნა, ამ მიმართულებით მუშაობა გ. უორდანიას ჯერ კიდევ სტუდენტობიდან, მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში (1905-1911) დაუწყია და ამ მხრივ პირველი სერიოზული ნაბიჯებიც გადაუდგამს.

აღსანიშნავია, რომ მე-19-ე საუკუნის მოსკოვსა და პეტერბურგში, სადაც ჩვენი არაერთი სახელოვანი თანამემამულე ენაფებოდა სწავლა-განათლებას, ამ დროისათვის ეთნოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი კერძი ფუნქციონირებდა, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩინდნენ კავკასიის რეგიონისა და საკუთრივ, საქათველოს ძირძველი ტრადიციების შესწავლისადმი. ამ მიმართულებით მუშაობამ კი თავის მხრივ, ფასდაუდებელი შედეგი მოუტანა თვით შესასწავლი რეგიონების კულტუროლოგიური დარგების წარმოჩენას და მათ შორის, ეროვნული ხალხური სამართლებრივი კულტურის მეცნიერული შესწავლის საქმეს.

ამ მხრივ, საგანგებოდ აღსანიშნავია ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა სამიპერატორო საზოგადოება, რომელშიც გ. უორდანიაც გაწევრიანდა და სწორედ ამ საზოგადოებისაგან იქნა წარმოგზავნილი საქართველოში, ეთნოგაფიულ ძიებათა განსახორციელებლად.

მსგავსი ექსპედიციები და სამეცნიერო კვლევები საქართველოში და ზოგადად, ეროვნული ჩვეულებებით მდიდარ, ეთნოგრაფიული კულტურით გამორჩეულ კავკასიის რეგიონში გამონაკლისს როდი წარმოადგენდა. საამისოდ თუნდაც, ცნობილ ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა და მოღვაწეთა: ვაჟა-ფშაველას, მ. კოვალევსკის, ლეონტოვიჩის, დიმიტრი ბაქრაძის და სხვათა, ხოლო, კიდევ უფრო ადრეულ წარსულში ევროპელი მოგზაურებისა და მისიონერების – დონ არქან-ჯელო დე კასტელი, დონ მარი ძამპი, ლამბერტი, უან შარდენი და სხვების გახსენებაც იკმარებდა.

ამ მიმართულებით მუშაობა მოგვიანებით კიდევ უფრო ინტენსიურად და მასშტაბურად იქნა გაგრძელებული სახელოვან ქართველ ეთნორაფ, ისტორიკოს თუ იუსრისტ მკვლევართა მიერ.<sup>3</sup>

სწორედ ამ მემკვიდრეობის ერთგვარ გვირგვინს წარმოადგენს პროფ. მიხეილ კეკლელიას თაოსნობითა და უშუალო ხელმძღვანელობით, საქართველოს რეგიონებში თავმოყრილ ცოცხალ ეთნოგრაფიულ მასალაზე ფამყარებული, მისივე რედაქტორობით გამოცემული „ქართული ჩვეულებითი სამართლის“ ოთხტომეული (1988-1994წ.).

ამ მხრივ, გ. უორდანიასა და მის მსგავსთა დავაწლისა და დამსახურების განსაკუთრებულობა ისიცაა, რომ ისინი სწორედ იმ დროს, მოევლინენ მშველელად და გადამრჩენად ჩვენს ამ კულტურულ საგანძურს, როდესაც მათ თანამედროვეთა მეხსიერებაში ჯერ კიდევ შემორჩენილ ჩვეულებებს, როგორც დაუწერელ სამართალს, გაქრობისა და მივიწყების საფრთხე ემუქრებოდა და მათი გადარჩენის ერთად-ერთ გზას სწორედ მათსავე თანამედროვე მკვლევართა ამგვარი ძალისხმევა და ამ მასალის საველე მოძიება წარმოადგენდა.

ამ მიზნით განხორციელებული გ. უორდანიას სამეცნიერო მივლინება საქართველოში განსაკუთრებულად ნაყოფიერი აღმოჩენდა საკუთრივ ქართლის სამართლებრივ ჩვეულებათა კვლევისათვის. როგორც ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტაციით ირკვევა, მისი კვლევა-ძიების საგანძს, გარდა სამართლებრივი ჩვეულებებისა, „მორწმუნეობრივი და შემოქმედე-

სამართალი, 1988 (გვ. 22-62; 51-85).

<sup>3</sup> მათ შორისაა მაგ: ს. მაკალათია, გ. თედორაძე, ალ. ყამარაული, რ. ხარაძე, ვ. ბარდაველიძე, ალ. ოჩიაური, მ. კეკლელია, რომლებმაც საქართველოს ეთნოგრაფიული მასალით მდიდარ კუთხეებში – ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში, აჭარა-გურია-სამეგრელოში, იმერეთში, კახეთში საველე-ეთნოგრადიული გზით არაერთი, უნიკალური სამართლებრივი ჩვეულებების ამსახველი ფასდაუდებელი პირველწეს და მათ საფუძველზე დამუშავებული მრავალი სამეცნიერო ნაშრომი შემატეს ქრთული კულტურულოგის საგანძურს.

ბის“ შესწავლაც წარმოადგენდა, რაც ასახულია მის სამივლინებო დოკუმენტაციაში.

კერძოდ, აღნიშნულის თაობაზე მითითებულია საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ გ. უორდანიას პირად ფონდში 1909 წლის 13 მაისით დათარიღებულ მის სამივლინებო მანდატში, რომელშიც ვკითხულობთ: „ქართული ჩვეულებების, მორწმუნეობისა და შემოქმედების შესასწავლად გამოსაკვლევად“.

როგორც აღინიშნა, გ. უორდანია ასევე აქტიურად იყო ჩაბმული 1907წ. მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა მიერ დაარსებულ ილია ჭავჭავაძის სახელობის „ქართული კულტურის მოყვარულთა წრის“ საქმიანობაშიც, რომელიც მნიშვნელოვანნილად სწორედ ქართული ჩვეულებითი სამართლის შენავლას ისახავდა მიზნად.

სწორედ ამ საზოგადოების წამოწყებული ეროვნული საქმის ღისეული გამგრძელებელი გახდა 1912 წელს თბილისში დაარსებული „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“, რომელსაც თავად გიორგი უორდანია ჩაუდგა სათავეში და ფართო სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობაც გაშალა.

მის მიერ ჩატარებული ღონისძიებები ასევე ნათლად მეტყველებს გ. ცორდანიას პრიორიტეტულ დაინტერესებაზე ეროვნული ხალხური სამართლის საკითხებისადმი, რომლებსაც არაერთი შრომა და მოხსნება მიეძვნა.

„საზოგადოების“ სხდომებზე განიხილულ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ფართო სპექტრისადმი მიძღვნილ საკითხთა შორისაა კერძოდ, მაგ., გ. უორდანიას მიერ წაკითხული მოხსენება – „ქორწინება სამგერელოში“; „სისხლის აღება და გასამართლება სვანეთში“, „ხალხი და მისი ადათ-ჩვეულებანი“. მასზე წარდგენილი და განხილული ყოფილა ასევე პ. კიზირიას წაშრომი – „ზოგიერთი ადათ-ჩვეულებანი ქიზიყ-კახეთში“, (მომხსენებელი ნიკო ნათაძე); „სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში მეფე ვახტანგ VI კანონთა კრებულის მიხედვით“ და ა.შ.<sup>4</sup>

აღნიშნული „საზოგადოების“ ინტერესების მრავალფეროვნებაზე მიანიშნებს მისივე წესდება, რომლის მიხედვითაც საზოგადოების მიზნებში შედიოდა ქართული კულტურის ყოველმხრივ შესწავლა („სახელდობრ: ენა, მწერლობა, საზოგადოებრივობა, სამართალი, ეთნოგრაფია“) და რუსეთის საზოგადოებისათვის მისი გაცნობა. ეს კი, თავის მხრივ, სცილდებოდა ვინწრო სამეცნიერო ფარგელებს და ქვეყნის უმდიდრესი კულტურული წარსულის წარმოჩენით მნიშვნელოვანი როლის შესრულება და კეთილისმყოფელი გავლენის მოხდენა შეეძლო ორი კულტუროსანი ერის, ორი სახელმწიფოს მრავალმხრივ ურთიერთობებზე.

თვით გ. უორდანია, როგორც საზოგადოების სულისჩამდგემელი და მისი აქტიური წევრი, სხვა სფეროებს შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ სამართლებრივი კულტურის საკითხების კვლევას უთმობდა. მას, როგორც პროფესიონალ იურისტს, კარგად ესმოდა ამ ხასიათის სამუშაოთა სირთულე და თავისებურება და საგანგებო ყურადღებითაც ეკიდებოდა საქართველოს ისტორიულ კუთხებში მიმობნეული სამართლებრივი ჩვეულებების დამადასტურებელი ეთნოგრაფიული მასალის მოძიებასა და კვლევას.

1907 წლის 7 აგვისტოს, საქართველოში მორიგი სამეცნიერო მივლინებით მყოფი გ. უორდანია, დაბა სურამში კითხულობს საჯარო ლექციას თემაზე: „ხალხური ადათ-ჩვეულებანი და მათი მეცნიერული ფასი“.

ლექციის შინაარსობრივი სიღრმე და მნიშვნელობა, ასევე ლექტორის ცოდნა და განსწავლულობა განხილულ სალკითხებში, ღრმა მეცნიერული ანალიზის უნარი, კარგად იკითხება შემორჩენილ, ლექციის მაუწყებელ აფიშაზე, რომელზეც წამოწეულია შემდეგი რიგის საკითხები:

<sup>4</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი გ. თ. უორდანიას პირადი ფონდი, 1813, 1909 წ; საქმე №29, საქმე №30, საქმე №253, საქმე №1908წ. საქმე №236, საქმე №265, საქმე №266, საქმე №277 (ანაწერი 1).

I. ბუნებრივი და ყოფითი (პოზიტიური) სამართალი, უკანაკნელი ფორმები, ადათ-ჩვეულება, როგორც ერთ-ერთი ამ ფორმათაგანი, ადათი იურიდიულ მწერლობაში, მათზე არსებული შეხე-დულებანი, („ბუნებრივი უფლების“ და „ისტორიული სკოლები“ ადათი, როგორც საზოგადოებრივი (სოციალური) მოვლენა.

II. თანამედროვე ხალხური ადათი და მისი მნიშვნელობა; ა) როგორც ისტორიულ-იურიდიული მასალისა, ბ) ძველი დროის წერილობითი უფლების წყაროების გასაადვილებლად და გ) პრაქტიკულის მხრივ, მისნი დედა-თვისებანი და შემადგნელი ნაწილები (ელემენტები)

– ადათ-ჩვეულების შეგროვება-შენავლის მეთოდები“.

ლექციის მითითებული თემატური შინაარსიდანაც ნათლად იკვეთება ღირსეული მკვლევარი-სა და მამულიშვილის მეტად ფაქტიზი და მზრუნველი დამოკიდებულება ეროვნული ფასეულობების მათი დეტალებისადმი, რომელშიც სამართლებრივ კულტურას განუზომლად მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის. ლექციის ტექსტსა თუ ქვეტექსტში კარგად იკითხება ისიც, რომ მიუხედავად მისი ამ მიმართულებით წარმოქმული კვლევა-ძების ძირითადი დანიშნულებისა, რაც რუსული საზოგადოებისათვის მის გაცნობასაც გულისხმობდა, ამავდოულად, ის საკმაოდ მოხერხებულად ცდილობდა მოპოვებული მონაცემები, როგორც წინაპართაგან დატოვებული მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, კარგად გაეცნო თვით ქართული საზოგადოებისათვის და მათი სიღრმისეული თეორიულ-მეცნიერული ანალიზის შედეგად პირუთვნელად ეჩვენებინა ძირძველი ეროვნული ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე სამართლისათვის. ამით კი ერთგვარად ეროვნული ღირსება და თავმოყვარეობაც გაეღვივებინა, რაც მნიშვნელოვანნილად მინავლებული ჩანდა იმ დროს უკვე მომძლავრებული თვითმყრობელური მმართველობის პირობებში.

არქივში მისი ხელნაწერის სახით დაცულ ლექციის 51 გვერდიან ტექსტში, რომელიც ავტორი მეტად საინტერესო, ვრცელ, ფუნდამენტური მეცნიერულ მიმოხილვას გვთავაზობს ჩვეულებით-სამართლებრივი ინსტიტუტების, მათი გენეზისის შესახებ.

ამ მხრივ საინტერესო მაგ., მისი შეხედულება ადათისა და კანონის, მათი ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე. ასევე, ზოგიერთი, მეთოდოლოგიური ხასიათის დებულება ამ საკითხებისამი. სამართლის წყაროთა სისტემაში ის ორ ძირითად ფორმას (პირველწყაროს) ხედავს და შესაბამისად, განასხვავებს „უფლების ორ ფორმას“ – 1) ადათს და 2) კანონს. ამასთან, მათ შორის პირველობას, სრულიად საფუძვლიანად, ადათს ანიჭებს. ამავდროულად, საგანგებოდ უსვამს საზს ადათის, როგორც ძირებული პირველწყაროს მნიშვნელობას პოზიტიური სამართლის, კანონმდებლობისადმი და კანონის ძალას, სიმტკიცეს სწორედ ამ დამოკიდებულების მიხედვით განსაზღვრავს.

ძნელია არ დაეთანხმო მის მტკიცებას იმის შესახებ, რომ „კანონმდებლობა მარტო მაშინ არის მტკიცე (ახლაც კი — ძველად არას ვამბობ), როცა ადათებზე ემყარება ... ფორმალურად ის დამოკიდებულია ადათისაგან, მისი სავალდებულო ხასიათის წყარო მარტოდ მარტო ფორმალური ნიშანია: „კანონთა კრებულში“ არსებობა, რაკი მას ეს აღაგი უჭირავს, ის მარტო ამიტომ სავალდებულო ყველასათვის და მისი ამ გვარის ხასიათის და მნიშვნელობის უარისყოფა არავის შეუძლიან, თუნდ ის უსამართლობით გამსჭვალული იყვეს.<sup>5</sup>

ხაზგასმითაა აღნიშნული ისიც, რომ კანონებისა და ოფიციალური სასამართლოს გარდა, „არსებობს მეორე სასამართლო და მეორე წესი — წესი დაუწერელი, ისტორიულად უფრო ძველი კანონზე, ახლაც დიდ მნიშვნელოვანი განსაკუთრებით, სოფელში, მისს ცხოვრებაში — წესი, ოფიციალურ კანონთან ხან პარალელურად, ხან წინააღმდეგ მოქმედი ამ წესის სავალდებულო მნიშვნელობა სახელმწიფოს ბრძანებიდან არ წარმოსდგება, ის დაყრდნობილია ხალხურ წებაზე და სურვილზე. იბადება ხალხურ ორგანოებში ე.ი. იმისთანებში, რომლებიც თვით ხალხს შეუქმნია,

<sup>5</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი გ. თ. უორდანიას პირადი ფონდი, 1813, 1909 წ; საქმე №29, საქმე №30, საქმე №253, საქმე №19086. საქმე №236, საქმე №265, საქმე №266, საქმე №277 (ანაწერი 1), გვ. 18.

სახელმწიფოს უდასტუროდ და წინააღმდეგაც და მანამდისაც, ვერც თვით სახელმწიფო გაჩნდებოდა. აი, სწორედ ამ წესს ეწოდება ადათი...”<sup>6</sup>

საყურადღებოა, რომ მკვლევარის ამგვარი ინტერპრეტაცია თავის დროზე ფუნდამენტურ წინააღმდეგობაში მოდიოდა სამართლისა და სახელმწიფოს საბჭოურ (მარქისტულ-ლენინურ) დოქტრინასთან, რომელიც ამ პერიოდისათვის იდეურად უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო და რომლის არსი სამართლის სახელმწიფოსადმი უპირობო დამოკიდებულების აღიარებას გულისხმობდა. სამართალს კი მისგან დამოუკიდებლად არც კი მოიაზრებდა. შესაბამისად, ამ ფონზე ბუნებრივია, არც ხალხური სამართლებრივი ჩვეულების მნიშვნელობაც ინორირებული იყო. ასეთი განაცხადით კი იმთავითვე განსაზღვრულა მისი სამართლებრივი შეხედულების იდეური საწყისი, რაც მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდის გათვალისწინებით საკმაოდ სარისკო ნაბიჯსაც წარმოადგენდა.

ამავდროულად, ამაში კარგად ჩანს თავისი სამშობლოს პატრიოტისა და მის კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული მამულიშვილის პრინციპული პოზიცია, ურომლისოდაც თავსმოხვეული, ეროვნულ ძირებს მოწყვეტილი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ინსტიტუტების ქართულ სინამდვილეში გადმოტანის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა შეუძლებელი იქნებოდა.

მისი ეს დამოკიდებულება მკვეთრად მოჩანს მითითებულ საკითხებზე მის ყველა მსჯელობაში. კერძოდ, მისი შეხედულებით, ხალხის მრავალ წეს-ჩვეულებათა „.... მასიდან ძნელია გამოვყოთ იურიდიული ჩვეულებანი, გინა ადათები. ერთი და იგივე მოვლენა ხან ადათია, ხან ჩვეულება, იმისდა მიხედვით, რომელ სფეროს ეკუთვნის თვით განსაზღვრული მოვლენა“.<sup>7</sup>

ამდენად, გ. უორდანია სამართლებრივი ჩვეულებების („ადათის“) ძირებს და გენეზისს სრულიად საფუძვლიანად, სწორედ ხალხური ყოფის, მისი წეს-ჩვეულებების წიაღში ეძებს და ამით კიდევ უფრო მკვეთრად სურს წარმოაჩინოს მისი სამართლებრივი პირველწყაროს მნიშვნელობა და სიმტკიცე. აქედან გამომდინარე, მას გამოაქვს დსკვნა იმის შესახებ, რომ „.... ქართული ადათის შესწავლის მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადათს, როგორც უფლებრივ წყაროს...“<sup>8</sup> ამგვარ მიდგომას კი არც სადღეისოდ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში (1908წ.), სწორედ უშუალოდ მოპოვებული ქართული (კერძოდ, ქართლის) ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე შეუსრულებია გ. უორდანიას სოლიდური სამეცნიერო ნაშრომი - „სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში“, რომელშიც მეცნიერულად გაანალიზებულია უშუალოდ, მის მიერ ქართლის სოფლებში – ლამისყანაში, კასპში და სხვაგან ეთნოგრაფიული გზით მოპოვებული, სწორედ ხალხური ჩვეულებებით მოწესრიგებილი სასისხლო სამართალურთიერთობათა ამსახველი მასალები და გამოთქმულია არაერთი საინტერესო მოსაზრება ქართული ჩვეულებითი სამართლის კვლევის ზოგად-მეთოდ-ოლოგიურ საკითხებზე.

გ. უორდანიას პირად ფონდში დაცულია ასევე სტუდენტობის დროინდელი 77 გვერდიანი ჩანაწერი - შეფასებები ვახტანგ მეექვსის სამართალზე, რომელშიც საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული საკუთრივ, სასისხლო-სამართლებრივ, საკუთრების, საქორწინო, ასევე საოჯახო სამართლებრივ საკითხებზე, სასჯელთა სახეებზე და ა.შ. ყურადღებას იქცევს ჩანაწერთა ბოლოში მოთავსებული კითხვარი, რომელსაც ის საველე-ეთნოგრაფიული მუშაობისას იყენებდა. კითხვარი მოიცავს კერძოდ, ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სასამართლო წყობილება; სასამართლო წარმოება; სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი.

<sup>6</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი გ. თ. უორდანიას პირადი ფონდი, 1813, 1909 წ; საქმე №29, საქმე №30, საქმე №253, საქმე №1908წ. საქმე №236, საქმე №265, საქმე №266, საქმე №277 (ანაწერი 1), გვ. 19.

<sup>7</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი გ. თ. უორდანიას პირადი ფონდი, 1813, 1909 წ; საქმე №29, საქმე №30, საქმე №253, საქმე №1908წ. საქმე №236, საქმე №265, საქმე №266, საქმე №277 (ანაწერი 1), გვ. 27;

<sup>8</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი გ. თ. უორდანიას პირადი ფონდი, 1813, 1909 წ; საქმე №29, საქმე №30, საქმე №253, საქმე №1908წ. საქმე №236, საქმე №265, საქმე №266, საქმე №277 (ანაწერი 1), გვ. 10.

საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი მივლინების პერიოდის უნდა იყოს მისივე უთარილო ლექციაც – „ზნეობა და სამართალი, ადათი და კანონი“, რომელშიც ასევე მეტად მნიშვნელოვან თეორიულ-სამართლებრივ საკითხებს ეთმობა ყურადღება.

მკვლევარს საგანგებო ყურადღება მიუქცევია საქორწინო-საოჯახო ჩვეულებების, მათი სამართლებრივი ასპექტებისათვის. მათ შორისაა, კერძოდ, დაუთარილებელი ეთნოგრაფიული ჩანაწერები, რომლებმიც განხილულია ქართლში გავრცელებული, ისეთი ჩვეულებით-სამართლებრივი საქორწინო ჩვეულებები და რიტუალები, როგორიცაა: 1) შუამავლობა (აღნიშნულია, რომ მაშუალის ფუნქციას მხარეების ნათესავი ან „სპეციალური მაჭანკალი“ ასრულებს); 2) გასინჯვა - მშობლების თანხლებით ქალ-ვაჟისათვის ერთმანეთის გაცნობა, რომლის შემდეგაც მოლაპარაკება მიმდინარეობს ქორწინების პირობებზე (მზითევზე), რაც ზოგჯერ წლობით გრძელდება; 3) გარიგება (ხელის მიცემა). როგორც მასალიდან ჩანს, ამ დროს ხდება ქორწინებაზე შეთანხმება ამავე დროს ინიშნება ჯვრის წერა და ქორწილი; 4) ქორწილი. მასში დაწვრილებით არის აღნერილი ქორწილის სამზადისი და მასთან დაკავშირებული ცერემონიალი. მასში სამართლებრივი ხასიათის წესების გარდა, კარგად ჩანს, ქართული სუფრის, ლხინის, დამახასიათებელი ტრადიციებიც, რაც უნებრივია ინტერესმოკლებული არ იქნება ქართული ყოფითი კულტურით დაიტერესებულ მკველავრთათვისაც.

ამავე ჩანაწერებში დაცულია მეტად საყურადღებო ცნობა სვანური სამედიატორო სასამართლო პროცესისა და სასამართლო მტკიცებულების (ფიცი, თანამოფიცრობა) თაობაზე.

ამასთან, დეტალურადა აღნერილია სოფ. კალის საზოგადოებაში გამართული სამედიატორო პროცესი ერთი კონკრეტული მკვლელობის საქმეზე, რომლის თაობაზე მის მიერვე ინფორმაცია გამოქვეყნებულ იქნა იმ დროინდელ პერიოდულ გამოცემაშიც („ფელეტონი“).

მასში აღნერილი მოსისხლეთა შერიგების რიტუალი საყურადღებოა მრავალმხრივი თვალ-საზრისით, მათ შორის, – მედიატორის არჩევის წესზე და პირობებზე, მედიატორთა მიერ საქმის განხილვის მოსამზადებელ საკითხებზე, დაზარალებულისა და ბრალდებული მხარის როლზე და ინიციატივის უფლებაზე სამედიატორო პროცესში, ასევე, ქმედების სუბიექტურ მხარეზე (ბრალზე), პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მის მნიშვნელობაზე, ფიცსა და თანამოფიცრობაზე, როგორც უპირატეს მტკიცებულებათა სახეზე, მათ პროცესუალურ რიტუალზე, გადაწყვეტილების დადგენა-გამოცხადებაზე, მის აღსრულებაზე. საგანგებოდაა საუბარი ქრისტიანული ეკლესიის როლზე სვანურ სამედიატორო სასამართლოში, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ როგორც ცნობილია, ჩვეულებითი სამართალი საზოგადოების უძველეს ჩვეულებათა საწყისზეა აღმოცენებული და მისი ძირითადი პრინციპები ყველაზე ახლოს აღმოჩნდა რელიგიურ დოგმებთან და მოთხოვნებთან, ამიტომაც მნიშვნელოვანილად ჰარმონიულად შეერწყა მათ. ამის კვალს კი ყოველთვის ვამჩნევთ ხალხური სამართლის ინსტიტუტების შესწავლისას, რაც არც გ. უორდანიას მახვილ თვალს გამორჩენია.

ასე, რომ გ. უორდანიას მიერ შეკრებილი ქართული ჩვეულებითი სამართლის კვლევის ამ-სახელი მასალა მეტად საყურადღებო და ანგარიშგასაწევ მინიშნებებს შეიცავს ქართველი ხალხის სამართლებრივი და ქრისტიანული კულტურის ურთიერთდამოკიდებულებაზეც, რაც თავისთავად, ხალხური წიაღიდან მომდინარე ჩვეულებითი სამართლის, როგორც საერო სამართლის უძველესი პირველწყაროს სიმტკიცისა და მნიშვნელობის მაჩვენებელია.

ყოველივე აღნიშნული გვაძლეს საფუძველს გადაუჭარბებლად განვაცხადოთ, რომ ჩვენი სახელმძღვანი მკვლევარის – გ. უორდანიას ღვანლი განუზომელია ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი კულტურის შესწავლის საქმეში. მის მიერ ესოდენ რუდუნებით შეკრებილი, მეცნიერულად და-მუშავებული და არქივში დაუნჯებული მასალა ფასდაუდებელ სამეცნიერო საკვლევ პირველწყაროს წარმოადგენს, როგორც ზოგადქართული ასევე, საკუთრივ, ქართული სამართლებრივი კულტურის გენეზისით, სამართლის ისტორიული თუ პრაქტიკიული ასპექტებით დაინტერესებული საზოგადოე-

ბისათვის და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ასევე, შედარებით სამართლებრივი კვლევა-ძიების თვალსაზრისითაც, რასაც სრულიად საფუძვლიანად, საგანებო ყურადღება ეთმობა ბოლო პერიო-დის თანამედროვეობის სამართლებრივი სისტემების შესწავლისას. ხალხური (ჩეულებითი, ადათო-ბრივი) სამართალი კი ამ სისტემის განუყოფელი ნაწილია.<sup>9</sup>

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. პეტრე უმიკაშვილი, ქართული ხალხური სიტყვიერება, ოთხ ტომად, ტ. IV 1964; გვ.233; და-მოწმებულია მ. კეკელიას შრომიდან, „ილია ჭავჭავაძე და ქართული ჩვეულებითი სამარ-თალი“. კურებული – ქართული ჩვეულებითი სამართალი, 1988 (გვ. 22-62; 51-85).
2. ლ. გოდერიძე ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მოღვაწეობის ისტორი-იდან, მნათობი, 1970, №1.
3. მ. კეკელია — ქართული ჩვეულებითი სამართლის სათავეებიდან (ჩვეულებითი სამართლის საკითხები ფეოდალური ხანის ავტორებთან (ჰაგიოგრაფიული და სხვა ხასიათის ძეგლე-ბი, ფარსადან გიორგიჯანიძე, ვახუშტი ბატონიშვილი, იოანე ბატონიშვილი), კრ. ქართული ჩვეულებითი სამართალი, 1988;
4. კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, ოთხ წიგნად (1988-1994);
5. რენე დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები (რუსული გამოცე-მიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთოთ. ნინიძემ, 1993).
6. დ. ჯალაბაძე: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩვეულებითი სამართლის კვლევის ისტორიიდან, კრებული – „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1990;

<sup>9</sup> იხ. მაგ. რენე დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები (რუსული გამოცემიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთოთ. ნინიძემ, 1993).